

დოქტორანტურის დებულების დანართი N 13
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 ოქტომბრის N 66/18 ოქმით

დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტისათვის გრანტის გაცემის წესი

1. დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად.
2. გრანტის მიღების უფლებამოსილება აქვს დოქტორანტს, რომლის სწავლის წლიური საფასური 3000 ლარი და მეტია.
3. დოქტორანტს შეუძლია სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობის მიზნით, მოითხოვოს სწავლის სრული საფასურის 1/3-ის ოდენობით დაფინანსება დოქტორანტურის სრული (3 წლიანი) ციკლის განმავლობაში.
4. გრანტის მიღების მიზნით, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე ხორციელდება დოქტორანტის ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა; სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, საბჭოს დასაბუთებული შუამდგომლობა განსახილველად გადაეცემა სკოლის საბჭოს.
5. სკოლის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სკოლა მიმართავს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს დოქტორანტისთვის მოთხოვნილი დაფინანსების გამოყოფის თანხმობით.
6. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური უზრუნველფოფს საფინანსო სამსახურისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.
7. დოქტორანტმა საფინანსო სამსახურს უნდა წარადგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ჩაერიცხება თანხის შესაბამისი ოდენობა.